ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3353093

ნომერი: AR1515715

თარიღი : 20.06.2017

გაცემის თარიღი : 27.06.2017

გაცნობის თარიღი : 28.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩეხოვის , N 28-30 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნანა რიჟამაძე პ/ნ 01036003402
- თბილისი ზესტაფონის ქ. N 19 ბ. 2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 20 ივნისის AR1515715 განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი – ისანი), ჩეხოვის ქ.

N28-30-ში, შ.პ.ს. "ლამარია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდგარ შენობა-ნაგებობის ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსების საკითხს.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის სამუშაოებს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განხორციელების შესაძლებლობასაც სამსახური ადასტურებს წერილობით. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ ''საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (არსებული მდგომარეობის ფოტო, საპროექტო ფოტომონტაჟი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან საკადასტრო კოდი N 01.17.01.115.001, N 882016431309, 12/07/2016 წ, • ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტორს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს სხდომის ოქმი N25, 22.06.2017 წ.) ქალაქაათმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი – ისანი), ჩეხოვის ქ. N28-30-ში, შ.პ.ს. "ლამარია"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდგარ შენობა-ნაგებობის ფასადზე სარეკლამო აბრის განთავსების შესაძლებლობას.
გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.